

ISET

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სექტორული კვლევა

ნოემბერი, 2019 წ.

დოკუმენტი მომზადებულია კოლიერს საქართველოს დაკვეთით,
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სივრცით მოწყობის გეგმის შემუშავების პროექტის ფარგლებში



Accelerating success.

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა	3
1.1. შრომის ბაზარი	5
1.2. მცირე და საშუალო ბიზესი	7
2. მუნიციპალური ბიუჯეტი.....	8
3. ელექტროენერგეტიკის სექტორი.....	10
4. წიაღის მოპოვების სექტორი	13
5. სოფლის მეურნეობის სექტორი	14
6. ტრანზიტის სექტორი.....	16
7. რეკომენდაციები და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა	20
ბიბლიოგრაფია	24

შემაჯამებელი მიმოხილვა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მოცემულობით ხასიათდება. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც საქართველოს დაძაბული პოლიტიკური და არასტაბილური ეკონომიკური ურთიერთობა აქვს. მუნიციპალიტეტს სრულად კვეთს საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც რუსეთისა და სომხეთის ძირითადი დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალია. ნიშანდობლივია 500 კილოვოლტიანი ელექტრო გადამცემი ხაზი - ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკი, რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტსაც კვეთს და ამ ტიპის მეორე ელექტრო გადამცემი ხაზია რუსეთთან.

ყაზბეგის ეკონომიკურ მდგომარეობას გზისა და ინფრასტრუქტურის გარდა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ტურიზმი. პირობითად შესაძლებელია გამოიყოს ორი დიდი მიმართულება. ერთის მხრივ, მთელი მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობითა და ბუნებრივი სანახაობებით, ხოლო მეორეს მხრივ ის მოიცავს ყველაზე დიდ სამთო-სათხილამურო კურორტს საქართველოში - გუდაურს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოფლის მეორუნეობაც, რომელიც მეტწილად მეცხოველეობას მოიცავს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დომინირებს მცირე საწარმოები, რომლების დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 50 კაცს, ხოლო წლიური ბრუნვა 12 მლნ. ლარს არ აღემატება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგრეთვე არის წიაღისეული რესურსებიც, როგორც არის: სამშენებლო მასალები (ანდეზიტი, დიაბაზი, გრანიტი), მჟავგამძლე ანდეზიტი, ტორფი, მტკნარი და მინერალური წყლები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის რამოდენიმე ენერგეტიკულად მნიშვნელოვანი მდინარე, რომელთა ნაწილზეც უკვე განვითარებულია ჰიდროელექტროსადგურები. თუმცა შესაძლებელია ახალი ელექტროსადგურებისა და მიკრო სიმძლავრის განახლებადი რესურსების ათვისება.

1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა


ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ აქტივობას რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მუნიციპალიტეტს ყავს საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობა, თუმცა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალი განაპირობებს საკმაოდ დიდ აქტივობას მის ზომასთან მიმართებაში. გარდა ამისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტს საგადასახადო შეღავათებითა და სუბსიდიებით სრულად ფარავს საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

ყაზბეგის საკმაოდ მცირე მოსახლეობის მქონე მუნიციპალიტეტია 2019 წლის პირველი იანვრის მონაცემებით მასში მხოლოდ 3,806 ადამიანი ცხოვრობს, რაც მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობის მხოლოდ 4%-ია. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქცია მცხეთა-მთიანეთში წარმოებული პროდუქციის 26%-ს შეადგენს. ნიშანდობლივია მუნიციპალიტეტში წარმოების რეალური ზრდა¹ 2016 და 2017 წლებში (21% დაა 36% შესაბამისად), რაც შესაძლოა განპირობებული იყოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის საკმაოდ

¹ რეალური ზრდა ამ ანგარიშის ამ ნაწილშიც და შემდგომშიც დათვლილია შესაბამისი წლის მშპ-ს დეფლატორის გამოყენებით.


მაღალი დატვირთულობით (Colliers 2019). გარდა ამისა, მიუხედავად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შედარებითი სიმცირისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აწარმოებს მცხეთა-მთიანეთის წარმოების 26%-ს (იხ. გრაფიკი 1). ეს თავის მხრივ შესაძლოა განპირობებული იყოს მუნიციპალიტეტი არსებული ინდუსტრიების შედარებით მაღალი პროდუქტიულობით, ან წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების მაღალი ღირებულებით.

გრაფიკი 1. პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)



მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ყაზბეგის ეკონომიკის შედარებით მაღალ პროდუქტიულობას ხაზს უსვავს ისიც, რომ მუნიციპალიტეტი 2017 წლის მონაცემებით ქმნის რეგიონის დამატებითი ღირებულების მესამედს. ნიშანდობლივია აღნიშნული მაჩვენებლის საგრძნობი ზრდა 2017 წელს, რაც სავარაუდოდ განპირობებულია წარმატებული ტურისტული სეზონითა და სატრანზიტო მორაობის მკვეთრი ზრდით მუნიციპალიტეტში. თუმცა დამატებითი ღირებულების 50%-იანი რეალური ზრდა მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია (იხ. გრაფიკი 2). ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის, რომ დამატებითი ღირებულების ასეთი მასშტაბური ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ასეთი მცირე ზომის მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში. ამ დროს საკმარისია ერთეული დიდი პროექტების ან/და ერთ მნიშვნელოვან ინდუსტრიაში მკვეთრი ზრდა იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდეს.

გრაფიკი 2. დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)




1.1. შრომის ბაზარი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობასა და მუნიციპალიტეტში ცხოვრების დონეზე მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი შრომის ბაზრის მიმოხილვა. სამწუხაროდ საქართველოში შრომის ბაზრის სტატისტიკა არ არის წარმომადგენლობითი მუნიციპალურ დონეზე, შესაბამისად შეუძლებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, შრომის აქტიური მოსახლეობისა და შესაბამისად უმუშევრობის დონის განსაზღვრა. თუმცა ამ მონაცემზე გარკვეული ინფორმაციას იძლევა კერძო სექტორის მიერ დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და მისი ცვლილება

2017 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტის კერძო სექტორი ასაქმებს 1,572 ადამიანს. ამ მონაცემით გამოდის, რომ მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაქმებულია კერძო სექტორში, რაც საქართველოს შრომის ბაზრის სპეციფიკას ეწინააღმდეგება (დასაქმებულთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მოსახლეობის ნახევარი ხშირ შემთხვევაში სამუშაო ძალას² არ წარმოადგენს). თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოსულია ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ტურისტულ ბიზნესში სამუშაოდ. ეს ხდება ზოგჯერ სეზონურადაც გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტზე ან ყაზბეგში ტურისტულ ბიზნესში დასაქმებისათვის. გარდა ამისა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ 4%-ია მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის დაახლოებით 15%-ია. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში კერძო სექტორში დასაქმება მნიშვნელოვნად იზრდება, 2016 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 13%-ით გაიზარდა ხოლო 2017 წელს 10%-ით. სავარაუდოდ აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტში ტურიზმის მნიშვნელოვანი ზრდით (Colliers 2019) და ტრანზიტული საავტომობილო ნაკადების ზრდით. ეს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის მომსახურებების განვითარებისათვის (ვაჭრობა, სასადილო და მოსასვენებელი ადგილები და ა.შ.). მუნიციპალიტეტის დასაქმების მონაცემები ასახულია გრაფიკზე 3.

გრაფიკი 3. დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების ცვლილება




წყარო: საქსტატი

² სამუშაო ძალის განმარტებისთვის იხილეთ [საქსტატის მეთოდოლოგია](#)

მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების დონის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება. 2017 წლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 1,333 ლარს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება არა მხოლოდ რეგიონისა და ქვეყნის მაჩვენებელს, არამედ თბილისის მონაცემსაც. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია 2014 წლიდან, თუმცა საშუალო თვიურმა ხელფასმა დედაქალაქის მაჩვენებელს 2015 წლიდან გადააჭარბა (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)



წყარო: საქსტატი

აღნიშნული მონაცემების ანალიზისას ხაზი უნდა გავუსვათ რამოდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს. მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირებისათვის საშუალო თვიური ხელფასის მაღალი დონე განპირობებულია ერთის მხრივ შედარებით მაღალშემოსავლიან ეკონომიკურ საქმიანობებში ჩართულობით (როგორც არის ტურიზმი და სატრანსპორტო მაგისტრალთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა), ხოლო მეორეს მხრივ საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებით³. ამ მონაცემებში ნიშანდობლივია, რომ ჩვენ არ ვფლობთ ხელფასების დონეების შესახებ მონაცემებს, რომელიც საჭიროა შრომის ბაზრის უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში შესაძლოა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდეს აღნიშნულ მაღალ საშუალო ხელფასებს და რეალურად საშუალო ხელფასის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყოს მუნიციპალიტეტში ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული დასაქმებულებით. თუმცა ეკონომიკური პოტენციალი არსებობა ტურიზმში იზიდავს სამუშაო ძალას ქვეყნის სხვა რეგიონებიდან, რომლებიც უშუალოდ არიან ამ შედარებით მაღალი ხელფასის მიმღებები. შესაბამისად ჩვენ ვერ გავაკეთებთ დასკვნას იმაზე, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შრომის ბაზარზე ისეთი მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა, რომელიც შეესაბამება აქ არსებულ საშუალო ხელფასებს. თუმცა ხაზგასასმელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისა და ადგილობრივების დასაქმებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის საგადასახადო შეღავათები, განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადზე.

³ იხ. მუხლი 5.1 საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ და საქართველოს საგადასახადო საგადასახადო კოდექსი მუხლი 82.3³.

1.2. მცირე და საშუალო ბიზესი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ოპერირებს 302 კომპანია. ცხრილი 1 ახდენს კომპანიების შეჯამებას მათი ზომის მიხედვით:


ცხრილი 1. მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების რაოდენობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში

კომპანიების ტიპი	განსაზღვრება	კომპანიების რაოდენობა
მცირე	დასაქმებულთა რაოდენობა < 50 წლიური ბრუნვა < 12 მლნ. ლარი	289
საშუალო	50 < დასაქმებულთა რაოდენობა < 250 12 მლნ. ლარი < წლიური ბრუნვა < 60 მლნ. ლარი	6
მსხვილი	დასაქმებულთა რაოდენობა > 249 წლიური ბრუნვა > 60 მლნ. ლარი	0
არაიდენტიფიცირებული	-	7

წყარო: საქსტატი 2019

სამწუხაროდ მუნიციპალიტეტის ბიზნეს სტატისტიკა არასრულყოფილია, თუმცა ცხადია, რომ დომინირებენ მცირე ზომის საწარმოები. ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი (103 საწარმო არაიდენტიფიცირებულია). მცირე საწარმოების რაოდენობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია სექტორების მიხედვით, თუმცა ყველაზე დიდი წილი აქვს სასტუმროებსა და სხვა განთავსების ობიექტებს, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტებს და სატრანსპორტო სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს (სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი და სატვირთო ტრანსპორტი). გრაფიკი 5 შეაჯამებს აღნიშნულ მცირე საწარმოებს, რაც შეეხება საშუალო ზომის საწარმოებს 2 მათგანი სამშენებლო სექტორშია ჩართული, 2 განათლების სექტორში, 1 განთავსების საშუალების უზრუნველყოფაში, ხოლო 1-იც არ არის იდენტიფიცირებული. მსხვილი კომპანიები მუნიციპალიტეტში არ გვხვდება.

გრაფიკი 5. მცირე საწარმოების განაწილება სექტორების მიხედვით




წყარო: საქსტატი

2. მუნიციპალური ბიუჯეტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას. 2016-2019 წლების ბიუჯეტის ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც წესი მუნიციპალიტეტი გეგმავს თავის განსახორციელებელ ხარჯებსა და შემოსავლებს მის მიერ მისაღები ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებების შესაბამისად. თუმცა, მუნიციპალიტეტში საერთაშორისო მნიშვნელობის გზის არსებობა და ცენტრალური მთავრობის მიერ მასზე გაწეული ხარჯები ბიუჯეტს, როგორც წესი მნიშვნელოვნად ცვლის⁴. გრაფიკი 6 ასახავს ამ მონაცემებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, წიადისა და ჰიდროენერგეტიკის განვითარების პირობებში არის შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის შემოსავლებისა (და შემდგომში ხარჯების ხაზრდის).

გრაფიკი 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ხარჯების ანალიზი აჩვენებს, რომ მუნიციპალური ბიუჯეტისთვის პრიორიტეტული მიმართულებებია: (i) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შექმნა (ხარჯების 42%, 2019 წლის ბიუჯეტის გეგმაში), (ii) საბინაო კომუნალური მეურნეობა (ხარჯების 15%, 2019 წლის ბიუჯეტის გეგმაში), (iii) ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების მართვა (ხარჯების 13%, 2019 წლის ბიუჯეტის გეგმაში და (iv) სახელმწიფო მომსახურება (ხარჯების 11%, 2019 წლის ბიუჯეტში გეგმაში). გარდა ამისა მუნიციპალიტეტს აქვს სხვა ხარჯებიც გნათლებაზე, კულტურასა და სოციალურ დაცვაზე (ჯამში ხარჯების 20%, 2019 წლის ბიუჯეტში).

2014 წლიდან მოყოლებული ყაზბეგის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები, რაზეც ბიუჯეტის ფაქტობრივი მაჩვენებელი მიუთითებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მზარდი თანხების გარდა აღნიშნულ მაჩვენებელზე ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების (მეტწილად მაგისტრალის რეაბილიტაციის) ხარჯებიც მოქმედებს (იხ. გრაფიკი 7).

⁴ ეს აისახება ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების არაფინანსური აქტივების ზრდაში ან/და კლებაში.

გრაფიკი 7. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ საგზაო ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯები



წყარო: საკანონმდებლო მაცნე

მიუხედავად საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დახარჯული თანხების მზარდი ტენდენციისა, სავსე სამუშაოები აჩვენებს, მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის დონე საჭიროებს მეტ განვითარებას. იმ დასახლებებში სადაც მთელი წლის განმავლობაში რჩება მოსახლეობა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებლობა იწვევს მოსახლეობის შემცირებულ მობილობასა და ეკონომიკურ აქტივობას. გარდა ამისა, განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა ზრდის ხარჯებს ისეთი ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისათვის, როგორც არის წიაღისეული და მეცხოველეობა.

3. ელექტროენერგეტიკის სექტორი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს აქვს ჰიდროენერგეტიკის დამატებით განვითარების პოტენციალი. ამჟამად მუნიციპალიტეტში უკვე ოპერირებს 144 მგვტ. დადგმული სიმძლავრის სადგურები, რომელთა წლიური გამომუშავება 414 მლნ. კვტსთ. აღნიშნული ელექტროსადგურების უმეტესობა ექსპლოატაციაში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შევიდა. გარდა ამისა, დაგეგმილია 37 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა, რითიც მუნიციპალიტეტში პოტენციურად 74 მლნ. დოლარის ინვესტირება მოხდება (ცხრილი 2).

ცხრილი 2. არსებული და პოტენციური ელექტროსადგურების ჩამონათვალი

ელექტროსადგური	სტატუსი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	საშუალო წლიური გამომუშავება	მოსალოდნელი ინვესტიცია (USD)
ლარსიჰესი	აქტიური	19	100	-
დარიალჰესი	აქტიური	108	262	-
არაგვიჰესი	აქტიური	8.5	50	-
არაგვიჰესი2	აქტიური	1.95	13	-
ყაზბეგიჰესი	აქტიური	6	35	-
ყაზბეგიჰესი2	აქტიური	0.38	2	-
ნაროვანი	პოტენციური	0.84	4	1,127,119
კამარა	პოტენციური	14	65	37,800,000
ქვეშეთი	პოტენციური	10.37	70	11,000,000
მენესო	პოტენციური	8.2	41	15,492,000
ხადა 1	პოტენციური	2.6	17	5,360,000
ხადა 2	პოტენციური	1.1	8	2,840,000

წყარო: სახელმწიფო ელექტროსისტემა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო


გარდა არსებული პოტენციური ჰესებისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შესაძლოა არსებობდეს შეუსწავლელი შესაძლებლობებიც ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისთვის. თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული პოტენციალისა და მისი ეკონომიკური რენტაბელურობის ხელახლა გამოკვლევა კლიმატის ცვლილებებისა და სხვა არსებული გამოწვევების კონტექსტში. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ მუნიციპალიტეტში შეიძლება მიკრო სიმძლავრეების ათვისებაც ჰიდროენერგეტიკაში, მზის და ქარის ენერჯიაში. ასეთი, გადაწყვეტები განსაკუთრებით მიმზიდველი შეიძლება იყოს ტურიზმისთვის მიმზიდველ ისეთ ადგილებში სადაც ამჟამად არ არსებობს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯიის წარმოების პოტენციალის ათვისებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ახალი 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკის მშენებლობა. ეს ზრდის მუნიციპალიტეტში წარმოებული ელექტროენერჯიის უსაფრთხოდ, შეფერხებების გარეშე, ქსელში მიწოდების შესაძლებლობას. თუმცა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ უფრო დაბალი ძაბვის

(110 კვ) ელექტროგადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელი რეაბილიტაციას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ელექტროენერჯის სათანადო ხარისხით მიწოდებისთვის ზამთრის პიკური მოხმარების პერიოდში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია მზარდი ტენდენციით ხასიათდება, როგორც ჯამური მაჩვენებლისთვის, რომელის ზრდაც გამოწვეულია ახალი ელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლით, აგრეთვე ინდივიდუალური სადგურისთვის. მიუხედავად მზარდი ტენდენციისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში წარმოებული ელექტროენერჯის რაოდენობა ქვეყნის მთლიანი გამომუშავების მცირე წილს (3%) წარმოადგენს (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8. მუნიციპალიტეტში არსებული ელექტროსადგურების გამომუშავება (მლნ. კვტსთ)




წყარო: ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო)

მიუხედავად ელექტროენერჯის წარმოების სეზონურობისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული ჰესს-ები სრულად ფარავენ მუნიციპალიტეტის მოხმარებას. აღნიშნული საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების გათვალისწინებით, ჯამში 12 მლნ. კვტ. სთ-ს მცირედით აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სრულად შესაძლებელია იყოს დაფარული ადგილობრივი წარმოებით.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ელექტროენერჯის მოხმარება მზარდი ტემპით ხასიათდება (გრაფიკი 9). 2018 წელს ელექტროენერჯის მოხმარება 17%-ით გაიზარდა. გაიზარდა მოხმარება ყველა საფეხურისა და ტიპის მოხმარებლებისთვის გარდა მაღალი დაბვის საბიუჯეტო ორგანიზაციების მოხმარებისა. კერძოდ, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის თვეში 101 კვტ. სთ-მდე ელექტროენერჯის მოხმარება 3%-ით გაიზარდა, 101-დან 301-მდე 15%-ით, ხოლო 301 კვტსთ-ზე მეტის მოხმარება 48%-ით. დაბალი დაბვის კომერციული მომხმარებლების წარმოება 23%-ით გაიზარდა, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების მოხმარება ამავე კატეგორიაში 65%-ით. ელექტროენერჯის მოხმარება აგრეთვე გაიზარდა მაღალი დაბვის (6-10 კვტ.) კომერციული მომხმარებლებისათვისაც 16%-ით, თუმცა 9%-ით შემცირდა საბიუჯეტო მომხმარებლებისათვის. ეს მონაცემები ადასტურებს მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვებისა და დამატებითი ღირებულების ზრდის წინამდებარე ტენდენციასაც.


გრაფიკი 9. ელექტროენერჯის მთლიანი მოხმარების ცვლილება (%)



წყარო: საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია (სემკ)

საქართველოში ელექტროენერჯის წარმოების მსგავსად მოხმარებაც მეტწილად სეზონურობით ხასიათდება, რაც გამოწვეულია ქვეყანაში წარმოების განვითარების დაბალი დონით და შესაბამისად, მოხმარების შემცირებით ზაფხულის პერიოდში. ეს ტენდენცია მსგავსია ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვისაც, თუმცა დაბალი დაბვის (220/380 ვოლტი) მოხმარება აღნიშნული სეზონურობით ნაკლებად ხასიათდება. სეზონურობა მეტწილად გამოწვეულია მაღალი დაბვის 6-10 კვტ. მოხმარებლების პიკური მოხმარებით ზამთრის პერიოდში. ეს კი გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურის მუშაობის ზეგავლენად შეგვიძლია განვიხილოთ(იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარება (კვტ. სთ)



წყარო: სემკ

4. წიადის მოპოვების სექტორი

წიადისეული რესურსებიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მასშტაბით მოიპოვება სამშენებლო, მოსაპირკეთებელი ქვები, მტკნარი და მინერალური წყლები. თუმცა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აგრეთვე არის სპილენძისა და ტორფის გამოვლინებებიც. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაცემულია 19 ლიცენზია სამშენებლო მასალების მოპოვებაზე. აღნიშნული ლიცენზიებიდან 12 გაცემულია ქვიშა-ხრემის მოპოვებაზე, 1 ანდეზიტ-დაციტის, 2 ანდეზიტის, 3 დიაბაზის და 1 ლოდნარის მოპოვებაზე (წიადის ეროვნული სააგენტო). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში გაცემულია 8 ლიცენზია მინერალური წყლის მოპოვებაზე.

გარდა უკვე ლიცენზირებული წიადისეულის მოპოვებისა არსებობს 5 ქვიშა-ხრემის, 1 დიაბაზისა და 1 ღორღის საბადო, რომელზეც ჯერ-ჯერობით არ არის გაცემული წიადის მოპოვების ლიცენზია. აგრეთვე არის 9 მინერალური წყლის ჭაბურღილი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის ლიცენზირებული. მუნიციპალიტეტში საინტერესოა სპილენძის სამი გამოვლინებაც, რომლის მოპოვების პოტენციალის შესწავლაც დამატებით სამუშაოებს საიროებს და რომელზეც შესაძლოა გაიცეს ძებნა-ძიების ლიცენზია.

წიადის ეროვნულ სააგენტოს მინერალური და თერმული რესურსების რუკაზე მითითებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი მარაგების მქონე საბადოები (იხ. ცხრილი 3), რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილსაც ითვისებს ამჟამად გაცემული ლიცენზიები.

ცხრილი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საბადოები

რესურსის დასახელება	საბადოს სახელი	ერთეული	მარაგი (A+B+C1)	მარაგი (C2)
სახერხი (საკედლე) ქვა - ტუფობრექჩია	ფანშეთი	მ ³	789,000	-
მოსაპირკეთებელი ქვა - დიაბაზე	ჭაუხი	მ ³	75,000	79,000
მოსაპირკეთებელი ქვა - ანდეზიტ დაციტი	კობი	მ ³	2,609,000	3,278,000
მოსაპირკეთებელი ქვა - დიაბაზე	ვეშათწყარო	მ ³	349,000	625,000
მოსაპირკეთებელი ქვა - დიაბაზე	გველეთი	მ ³	60,000	120,000

წყარო: წიადის ეროვნული სააგენტო


დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებმა აჩვენა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი რესურსების მოპოვების მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორებია: კლიმატური პირობები (ზამთრის დაბალი ტემპერატურა) და კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა. წიადის მოპოვება მნიშვნელოვან საწყის ინვესტიციებთან არის დაკავშირებული ფიქსირებულ აქტივებში, შესაბამისად კლიმატური პირობებით გამოწვეულმა მოპოვების სეზონურობა და კვალიფიციური სამუშაო ძალის არ არარსებობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს სექტორის კონკურენტუნარიანობა. რესურსების ათვისებისა და სექტორში ინვესტიციების მოზიდვისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება. მნიშვნელოვანია საბადოებთან არსებულ მიწაზე საკუთრების განსაზღვრაც, რაც არსებული სივრცითი მოწყობის პროცესში ამ ტერიტორიების ზონირებაში შეიძლება გამოიხატოს.

5. სოფლის მეურნეობის სექტორი

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობის დარგებს შორის განვითარებულია მესაქონლეობა და მეკარტოფილეობა. აგრეთვე ნაწილობრივ განვითარებულია მეფუტკრეობაც. აღნიშნული დარგების პოპულარობა გამომდინარეობს მუნიციპალიტეტში მიწის განაწილების სტრუქტურულიდანაც. არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწას 43,721 ჰა წარმოადგენს, რომლის 97% საძოვარია, 3% სათიბი, ხოლო 0.4% სახნავი. ნიშანდობლივია მიწაზე საკუთრების გადანაწილებაც, რომლის 83%-იც სახელმწიფო საკუთრებაა ხოლო 17% კერძო საკუთრება⁵.

რეალურად მუნიციპალიტეტში, თავისი ალპური საძოვრებით სოფლის მეურნეობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა მესაქონლეობა. მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს საზაფხულო საძოვრებს სხვადასხვა მესაქონლეებისთვის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობის სტატისტიკის საფუძველზე მუნიციპალიტეტში უკანასკნელი 4 წლის მანძილზე შემცირებულია, როგორც მსხვილფეხა საქონლის, ისე ცხვრის რაოდენობა, თუმცა 2018 წელში წინა წელთან შედარებით საქონლის რაოდენობა გაზრდილია. საინტერესოა ისიც, რომ მსხვილფეხა საქონელთან მიმართებაში პარალელურად იზრდება ხორცის წარმოება, ხოლო ძროხისა და კამეჭის რძის წარმოება შემცირებულია (იხ გრაფიკი 11,12, 13).


გრაფიკი 11. მსხვილფეხა საქონლის სულადობა და წარმოებული ხორცის რაოდენობა (ტ)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო


გრაფიკი 12. ცხვრისა და თხის საქონლის სულადობა და წარმოებული ხორცის რაოდენობა (ტ)

⁵ არსებული მონაცემები მიღებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლობისგან. სასურველია ამ მონაცემების გადამოწმება იმის შემდეგ როცა სათანადოდ დაზუსტდება მიწაზე საკუთრების უფლებები მუნიციპალიტეტში.



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გრაფიკი 13. ძროხისა და კამეჩის რძის წარმოება (ტ)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო


ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაზე არსებული მონაცემები მოწმობს, რომ მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის განვითარების კუთხით სტაბილური მდგომარეობაა, დარგი არც იზრდება თუმცა არც განსაკუთრებულ შემცირებას განიცდის. მესაქონლეობის დარგის მნიშვნელოვანი განვითარების პირობებს ქმნის რეგიონში ტურიზმის ზრდა. თუმცა, სოფლის მეურნეობის დარგის ზრდასთან ერთად შესაძლოა შეიქმნას ეკონომიკური კონფლიქტების საძოვრების უფლებებთან და საკუთრებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების დიდი წილიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტს შეუძლია საძოვრებზე საკუთრების უფლებების სხვადასხვა მოდელები და მეთოდები გამოიყენოს იმისათვის, რომ მოახდინოს საუკეთესო მიდგომის იდენტიფიცირება და ცხადად განსაზღვროს საკუთრების უფლებები. ეს ერთის მხრივ მუნიციპალიტეტს ააცილებს პოტენციურ პრობლემებს, რომელიც თავს იჩენს დარგის ზრდასთან ერთად. მეორეს მხრივ, ასეთმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს შედარებით მსხვილ ინვესტორთა ინტერესიც, რაც დამატებით ბიძგს მისცემს დარგის განვითარებას.

6. ტრანზიტის სექტორი

საქართველოს სამხედრო გზა მასთან დაკავშირებული სატრანზიტო პოტენციალით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მუნიციპალიტეტსა და მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ეს სატრანზიტო დერეფანი ხელს უწყობს მომსახურების სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას, როგორც არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სასტუმროები და სარესტორნი სექტორი.

რუსეთსა და საქართველოს შორის სატრანზიტო მოძრაობის აღდგენის შემდეგ აღნიშნულ სატრანზიტო გზაზე მოძრაობის ინტენსივობა ყოველწლიურად იზრდება (იხ. გრაფიკი 14). დამატებით 2015-2018 წლებში სატრანზიტო მიზნებით შემოსული სატვირთო ავტომობილების რაოდენობა საშუალოდ წლიურად 32%-ით იზრდებოდა. ამ სატრანზიტო დერეფანს აქტიურად იყენებენ რუსეთსა და სომხეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში ტვირთების გადასაზიდად. 2014-2015 წლებში ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შემდეგ რუსეთსა და სომხეთს შორის ჩამოყალიბდა საბაჟო კავშირი, რაც ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდის ერთ-ერთი მიზეზია. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ უკანასკნელი 2018 წლის მონაცემებით ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე გასული ავტომობილების 50%, ხოლო შემოსული ავტომობილების 34% არის სომხეთიდან. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სატრანსპორტო ნაკადების ზრდასთან ერთად აქტიურად ხდება მათი დივერსიფიცირებაც ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, იზრდება თურქული ავტომობილების წილი. 2014 წლიდან ლარსის საბაჟო პუნქტში სატვირთო ავტომობილების შემოსვლის რაოდენობა საშუალოდ წლიურად 30%-ით იზრდებოდა, ხოლო გასვლის 34%-ით. აღნიშნული ცალსახად ძალზედ მთამბეჭდავი ზრდაა.


გრაფიკი 14. ლარსის საბაჟო პუნქტზე შემოსული და გასული სატვირთო ავტომობილების რაოდენობა.



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

აღნიშნულ სატრანსპორტო დერეფანს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში. ამ დერეფნით იმპორტირებული და ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და ღირებულება წლიდან წლამდე იზრდება (იხ. გრაფიკი 15).

გრაფიკი 15. ლარსის გამშვები პუნქტის გავლით იმპორტირებული და ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა (ტონა) და ღირებულება (ღირებულება)




წყარო: შემოსავლების სამსახური

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული საგზაო დერეფანი ქმნის შესაძლებლობას სხვადასხვა ტიპის ინდუსტრიების განვითარებისათვის მუნიციპალიტეტში. ასეთი შესაძლოა იყოს ვაჭრობასთან და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სექტორები, როგორც არის სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული სატრანსპორტო დერეფნით იმპორტირებული მასის დაახლოებით 62%-ს (504 ათასი ტონა) წარმოადგენს ბოსტნეული და მზა საკვები, რაც ღირებულების თვალსაზრისით მთლიანი იმპორტის 32%-ია (648 მლნ. ლარი). მსგავსია ექსპორტის სტრუქტურაც, თუმცა ამ შემთხვევაში მასა და მისი ღირებულებითი ჭრილი ერთმანეთის მსგავსია. ლარსის საბაჟო პუნქტიდან ექსპორტირებული მთლიანი მასის 84% (225 ათასი ტონა), ისევე მზა საკვები და ბოსტნეულია, ხოლო ღირებულებით ჭრილში ეს დაახლოებით ექსპორტის 78%-ს (667 მლნ. ლარი) წარმოედგენს (გრაფიკი 16-17).


გრაფიკი 16. ლარსის გამშვებ პუნქტზე იმპორტირებული საქონლის შემადგენლობა (ტონა, ლარი)

ტონა 2018



- ბოსტნეული
- მზა საკვები
- მინერალური რესურსები
- ქიმიური წარმოება
- ხის მასალა და პროდუქცია
- ქვის და შუშის ნაწარმი
- ლითონები
- სხვა

ლარი (2018)




- ბოსტნეული
- მზა საკვები
- მინერალური რესურსები
- ქიმიური წარმოება
- პლასტმასის ნაწარმი
- ხის მასალა და პროდუქცია
- ქვის და შუშის ნაწარმი
- ლითონები
- მანქანა დანადგარები

წყარო: შემოსავლების სამსახური


გრაფიკი 17. ლარის გამშვებ პუნქტზე ექსპორტირებული საქონლის შემადგენლობა (ტონა, ლარი)

ტონა (2018)



- ბოსტნეული
- მზა საკვები
- ლითონები
- დანადგარები
- სხვა

ლარი (2018)



წყარო: მემოსავლების სამსახური

ვაჭრობის ასეთი კომპოზიცია ქმნის გარკვეულ სტიმულებს ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, ასეთია სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობები და ა.შ. თუმცა ასეთი პროექტების განხორციელება საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს საჭიროებს, რომელთა განხორციელებაც დიდ რისკებთან არის დაკავშირებული ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კონტექსტში. ეს მეტწილად პოლიტიკური რისკებია, დაკავშირებული სატრანსპორტო დერეფნის ჩაკეტვასთან რუსეთის ფედერაციის მხრიდან. თუმცა, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება, რუსეთსა და სომხეთს შორის სავაჭრომობილო ტრანსპორტით კავშირის აუცილებლობა ამცირებს ასეთ რისკებს.

7. რეკომენდაციები და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე მონაცემების ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ გარკვეული ფაქტორები ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს ქმნიან. მუნიციპალიტეტს რამოდენიმე მნიშვნელოვანი შედარებითი უპირატესობა გააჩნია:

- მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა სამუშაო ძალაზე - ადგილობრივი მოსახლეობა განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია დიდი პოტენციალის მქონე სამთო-სათხილამურო, კულტურული და სათავგადასავლო ტურიზმის ცენტრები;
- მუნიციპალიტეტში ტურიზმი უკვე 30 წელზე მეტია ვითარდება შესაბამისად უკვე არსებობს გარკვეული გამოცდილება რომლის გამოყენებაც შეიძლება სექტორის განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასაყვანად;
- მუნიციპალიტეტს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც ქმნის დამატებით პოტენციალს მომსახურებების სფეროსა და სხვადასხვა ინდუსტრიების განვითარებისთვის;
- მუნიციპალიტეტზე გადის ახლად ამუშავებული ქსანი-სტეფანწმინდა-მოზდოკის 500 კვ მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი, რომელიც ქმნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების პოტენციალს;
- მუნიციპალიტეტში არსებობს მაღალი სიზუსტის პროგნოზებით გათვლილი აუთვისებელი წიაღისეული რესურსები. აგრეთვე არსებობს, სხვადასხვა წიაღის გამოვლინებები, რაც ძებნა ძიების ლიცენზიების გაცემის პოტენციალს ქმნის.


მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებობს გარკვეული ნაკლოვანებები და რისკ-ფაქტორებიც. კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მცირეა, არის ძალზედ მწირი ადგილობრივი შრომის ბაზარი, კვალიფიციური სამუშაო ძალა არ არის ხელმისაწვდომი ბევრი მიმართულებით;
- მუნიციპალიტეტი ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, რაც ქნის რისკ ფაქტორს ინვესტორებისათვის - განსაკუთრებით მსხვილი კაპიტალური ინვესტიციებისათვის;
- მუნიციპალიტეტში სათანადოდ არ არის განვითარებული მუნიციპალური სერვისები:
 - მუნიციპალური ტრანსპორტი;
 - ნარჩენების მართვა, განსაკუთრებით სამთო-სათავგადასავლო ტურიზმთან მიმართებაში;
 - მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში ბიზნესისთვის მისარები გადაწყვეტილებების დიდი დრო.
- ხელის შეწყობის გარდა, მუნიციპალიტეტის სატრანზიტო როლი ხელს უშლის მუნიციპალიტეტში ტურიზმის რიგი მიმართულებების განვითარებას

რეკომენდაციები

ხსენებული შედარებითი უპირატესობების ათვისებისა და რისკ ფაქტორების გასათვალისწინებლად მუნიციპალიტეტს შეუძლია რიგი ღონისძიებების გატარება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა **მუნიციპალური სერვისების განვითარება**. კერძოდ აუცილებელია ტურისტულ ზონებში ნარჩენების მართვის სისტემების ჩამოყალიბება და მისი სათანადო მართვა, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შექმნაც, რათა გაიზარდოს მობილობა დასახლებებს შორის. მუნიციპალური სერვისების განვითარება მჭირდო კავშირშია, როგორც შრომის ბაზრის, ისე სხვადასხვა ინდუსტრიების განვითარებასთან, როგორც არის წიაღის სექტორი, ჰიდროენერგეტიკა და სოფლის მეურნეობა. აღნიშნული სექტორები ერთმანეთს შემდეგნაირად უკავშირდება (იხ. სურათი 1):

სურათი 1. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა



კონკრეტული მამართულებების მიხედვით რეკომენდირებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

გზები და ტრანსპორტი

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალის მობილობის ზრდა, რომ მოსახლეობისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ეკონომიკურ ცენტრებთან კავშირი. აღნიშნულისათვის სასურველი იქნება განვითარდეს შიდა გზები იმ დასახლებებში, რომლებსაც ყავთ მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა. ამ შემთხვევაში სასურველი იქნება დასახლებების პრიორიტეტიზაცია მათი „ეკონომიკური ღირებულების“⁶ მიხედვით. მაგალითად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ დასახლებებს, რომლებსაც ყავთ მუდმივად

⁶ აქ იგულისხმება ის ეკონომიკური განვითარების პოტენციური მთლიანი ღირებულება, რომელზეც შეგვიძლია ვიფიქროთ როგორც პროდუქციის გამოშვების ათვისებულ რესურსზე.

მცხოვრები მოსახლეობა და შეისაძლოა ესაზღვრებოდეს ჰქონდეს დიდი ეკონომიკური პოტენციალი, როგორც არის წიაღის საბადო.

უმნიშვნელოვანესია მუნიციპალური ტრანსპორტის შექმნა, აღნიშნული წახალისებს, გააუმჯობესებს ტურისტულ ინდუსტრიაში არსებული მომსახურების მიწოდებასაც და უზრუნველყოფს მოსახლეობის მეტ მობილობას დასახლებებს შორის. მუნიციპალიტეტის დასახლებების დიდი ნაწილი ზედმეტად მცირეა არათუ დიდი, არამედ საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვისაც, ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს იოლ მობილობას, რომ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ისედაც მწირი სამუშაო ძალა.

წიაღის სექტორი

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყოს წიაღის სექტორის განვითარებას მისი მხრიდან სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების კუთხით საბადოების ლიცენზირების პროცესში.

ამისათვის, სასურველია მიწათსარგებლობის გეგმაში განხორციელდეს წიაღის არსებული მაღალი სიზუსტით გათვლილი საბადოების ზონირება. ეს ხელს შეუწყობს ლიცენზირებისა და რესურსის ათვისების გამარტივებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის პოზიტიური როლი იქნებოდა, წიაღისეული რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ამით ინვესტორების მოზიდვის ხელშეწყობა. ამისათვის მუნიციპალიტეტმა შესაძლოა საკუთარი სახსრებით, ან/და დონორების დახმარებით დააფინანსოს წიაღისეულის მდგომარეობის შესახებ ყოვლისმომცველი კვლევა, რომელიც გაითვალისწინებს გეოლოგიურ, ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტს შეუძლია საკუთარ ვებგვერდზე გააუმჯობესოს წიაღთან დაკავშირებული გვერდი ინტერაქტიული რუკის გამოყენებით, რომელიც მოახდენდა არსებული, სალიცენზიო, საპროგნოზო რესურსების და გამოვლინებების წარმოჩენას, ხელს შეუწყობდა მათთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას დაინტერესებული მხარეებისათვის. მნიშვნელოვანია ისეთი ინვესტორების მოზიდვაც, რომლებიც აიღებენ ძებნა-ძიების სამუშაოების ლიცენზიას გამოვლენილი ბუნებრივი რესურსებისათვის.

ენერგეტიკა

ჰიდროენერგეტიკის განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტში საკმარისად განვითარებულია ინფრასტრუქტურა. თუმცა, გარკვეულ წერტილებში მნიშვნელოვანია გადამცემი და სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის ქსელში მიწოდების მდგრადობას.

მუნიციპალიტეტის პოზიტიური როლი ჰიდროენერგეტიკის განვითარების სექტორში შესაძლოა იყოს ფასილიტატორის როლი მოსახლეობასა და ინვესტორებს შორის, პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. დამატებით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული მიწისთვის სტატუსის ცვლილებისა და მისი პრივატიზაციის სიიოლე. ჰიდროენერგეტიკულ ისევე, როგორც წიაღის სექტორში აუცილებელია დაზუსტდეს საკუთრების მოსახლეობის საკუთრების უფლებები მიწაზე იმისათვის, რომ თავიდან იყოს არიდებული პოტენციური კონფლიქტები.

დამატებით, ისეთ ზონებში სადაც ამჟამად არ არსებობს გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურა ეკონომიკური პოტენციალის ათვისებისათვის შესაძლოა მოეწყოს მიკრო ქსელი და ათვისებული იყოს ელექტროენერჯის წარმოების მიკრო სიმძლავრეები.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგებს შორის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე რეალური პოტენციალის მქონე მესაქონლეობაა. აღნიშნული დარგი შესაძლოა განვითარდეს რძის პროდუქტების წარმოების მიმართულებითაც. სახელმწიფო მფლობელობაშია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის 83%, რომლის უდიდესი ნაწილი საძოვრებია. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებისათვის საძოვრების რეალური პოტენციალის და მიწის სტატუსის სწორად განსაზღვრა. დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიმუშაოს აღნიშნული მიწის მართვასთან დაკავშირებით კონკრეტული მიდგომა. ეს საჭიროებს არსებული საძოვრების უკეთ შესწავლას და მათზე საკუთრების უფლებების ცალსახად განსაზღვრას. აქ მუნიციპალიტეტის როლი შესაძლოა იყოს:

- განსაზღვროს კერძო საკუთრების უფლებები საძოვრებზე და მოახდინოს მათი პრივატიზაცია სექტორში დაინტერესებულ პოტენციურ ინვესტორებზე, ან მოახდინოს საძოვრების მხოლოდ მცირე ნაწილზე ასეთი უფლებების განსაზღვრა.
- შეიმუშაოს საძოვრების, როგორც საერთო მოხმარების რესურსის (Common Pool Resources) გამოყენების ერთიანი მიდგომა მესაქონლეობაში ჩართული ფერმერებისათვის (იხ. Ostrom 2015).

ვაჭრობა და სატრანზიტო მომსახურება

სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფანი, რომელსაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს შესაძლოა საინტერესო იყოს სხვადასხვა დაკავშირებული ინდუსტრიების განვითარებისათვის. გარდა სასტუმრო და მოსასვენებელი მომსახურებისა შესაძლოა განვითარდეს სხვა სექტორებიც. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დერეფნით გამავალი და შემომავალი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მალფუჭებადია შესაძლოა საინტერესო იყოს სხვადასხვა ტიპის სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების განვითარება. ასეთი მომსახურების განვითარებამ შესაძლოა უფრო კონფორტული გახადოს აღნიშნული სატრანსპორტო დერეფანი, როგორც ვაჭრობის ისე ტრანზიტისათვის. შესაბამისად ამ პოტენციალის უფრო სიღრმისეული შესწავლა მნიშვნელოვანი იქნება ამ ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დაკავშირებული მომსახურებების განვითარებას აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ატლანტიკური ისიც, რომ აღნიშნული დერეფანი მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს ისეთი კაპიტალ-ინტენსიური სექტორების განვითარებისათვის, როგორც არის სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობები. ეს მეტწილად პოლიტიკურ რისკებს მოიცავს, რომლებიც მომდინარეობს საქართველოსა და რუსეთის დაძაბული ურთიერთობებიდან. თუმცა გასათვალისწინებელია ამ სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა რუსეთ-სომხეთის სავაჭრო ურთიერთობებისთვისაც, რომელთა ინტენსივობაც იზრდება ევრაზიის საბაჟო კავშირის განვითარების პირობებში. ეს კი აღნიშნულ პოლიტიკურ რისკებს გარკვეულწილად ამცირებს.

ბიბლიოგრაფია

Colliers International. ოქტომბერი, 2019. "ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სექტორული კვლევა."
სამუშაო ვერსია, თბილისი.

Ostrom, Elinor. 1990, 2015. *Governing the Commons*. Cambridge: Cambridge University Press.